საქ. შეპარტ ენე სოც.-ფედ. საბჭო. პარტია

ტფილისი

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 1,250,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 75,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 250,000 მან. ნონპარელი
4 „ 200,000
სამგლოვიარო განცხადებ
1 გვ. 2,500,000 მან
4 „ 2,000,000 „

№ 532 პარასკევი, ივლისის 27 1923 წ. უოველდღიური გაზეთი ფასი 75,000

ელექტრონული ბიბლიოთეკა

განცხადება
თანახმად ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებისა,
ევალება საბჭოს ყველა წევრებს

10 აგვისტომდე აუცილებლად გამოცხადდნენ ალმასკომის სამდივნოში და ჩაეწერონ რომელიმე სექციაში სამუშაოდ.

სექციაში სამუშაოდ ჩაწერა სავალდებულოა

4—1 **პრეზიდიუმი.**

გაზეთი „ტრიბუნა“

აგვისტოს 1-დან ეღირება:

პროფკავშირთა წევრებისათვის	
თვიურად	1.500.000 მ.
დაწესებულებათა და კერძო	
პირთათვის	2 500.000 „
ცალკე ნომერი	100.000 „

განიარაღების საკითხი

თუ მსოფლიო ომის წინა პერიოდში სახელმწიფოთა შეიარაღება დიდი ნაბიჯებით ვითარდებოდა, ომის შემდეგაც ეს პროცესი არ ჩერდება.

როგორც ვიცით, სოციალისტებმაც პატრიოტული ჰანგები მომართეს და სისხლში გაისვარეს ხელები. ომის საწინააღმდეგო მოქმედების ნაცვლად მათ ომის ხარჯებს მხარი დაუჭირეს. მსოფლიო ომმა თავის ფორმალური დასასრული ვერსალის ზავში ჰპოვა. ეს ზავი ახალი ომების საწინდარია. კაპიტალისტური ქვეყნები ბუნებრივად კვლავ ომისათვის ემზადება.

თუ გასულ ომში დიდმა გემებმა, სუპერ-დნედროუტებმა დამარცხება განიცადა პატარა წყალქვეშა ნავებით, თუ ჰაერით ბრძოლამ მიიღო ფარული ხასიათი, ეხლა უკვე „გამოცდილი“ იმპერიალისტები ნაცად საშუალებას მიმართავენ. განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული საჰაერო ფლოტის გაძლიერებას. იციან, რომ მომავალ ომში ცეცხლის ენები არა მარტო მიწის ზედა პირს მოევლინება, არამედ ჰაერშიაც ავარდება იგი და უფრო მოხერხებულად მოსპობს და გაანადგურებს ადამიანთა განაწამებ ცხოვრებას.

კაპიტალიზმი თავის განვითარების პროცესში მსოფლიოს თვითმკვლელობის აქტს ამზადებს. იგი მილიონობითა და ათეულ მილიონობით ანადგურებს ადამიანთა სიცოცხლეს. ჯანსაღი, ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე ნაწილი საზოგადოებისა ბარბაზანთა ტყვიის სამსხვერპლოთ არის გამზადებული. კაცობრიობას რჩება ომისაგან ინვალიდები, სახიჩრები, ავადმყოფნი, სუსტნი და მოხუცნი, რომელიც მცხოვრებთა განვითარებისა და ზრდისათვის წარმოადგენს უცუდეს ელემენტს. ესევე ელემენტი ძირს უთხრის მეურნეობის განვითარებას. მეურნეობას შორდება მუშა ხელი. ვინც სამუშაო ძალის მატარებელია და ქვეყნის მარჩენალი, თვით ხდება სარჩენი უაზარმების შეხუთულ ატმოსფერაში. ეს უკანასკნელნი ეჩვევიან სიზარმაცეს, ხდებიან მსხვერპლნი ვენერიული ავადმყოფობის, ალკოჰოლიზმისა და სხვა სახის გარყვნილების.

საარსებო მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელ პროდუქტთა ნაცვლად მუშათა ლეგიონები იხარშებიან ქარხანის ქვაბებში ადამიანთა სიცოცხლის გამანადგურებელი იარაღების დამზადებით. მეცნიერთა გამშრალი ტვინი იგონებს ახალ-ახალ სისტემებს და გაუმჯობესებებით მსროლელი იარაღებასა. არ რჩება არც ხმელეთი, არც წყალი, არც ჰაერი და არც მიწის ქვეშ ჯურღმულები, სადაც შეეძლოს ადამიანს თავის შეფარება, გადარჩენა სიკვდილისაგან.

და ყოველივე რისთვის? იმისთვის, რომ მსოფლიოს ერთი მუჭა მუქთა ხორა, ბურჟუაზიული ფენები საზოგადოებისა განიცდიდენ განცხრომას, რომ შესაძლებელი იყოს გამდიდრება იმისი, ვინც არ შრომობს და სიღატაკე იმის, ვინც მუდამ ჭაპანწყვეტაშია.

დღეს შეიარაღების პროცესი კვლავ მიმდინარეობს. როგორც ვაშინგტონმა, ისე გენუამ ვერ შესძლო ამ საკითხის გადაჭრა. ეს შეუძლებელიც იყო და არის, სანამ კაპიტალისტური წყობილება ფაქტია, სანამ მას არ დავანგრევთ სავსებით.

მკითხველებს მოეხსენებათ. რომ მაკდონალდმა თემთა პალატაში წამოაყენა განიარაღების საკითხი, როგორც მოსალოდნელი იყო, მთავრობამ განაცხადა, რომ საჭიროა საჰაერო ფლოტის გაძლიერება, რადგან ამას მოითხოვს ინგლისის ნაციონალური თავდაცვის ინტერესიო.

ინგლისის „ნაციონალური ინტერესი“ მოითხოვს ინდოეთის მონობას, ეგვიპტეს მორჩილებას და საერთოდ აზიისა და აფრიკის ხალხთა ექსპლოატაციას. ამისათვის კი საჭიროა ომი, ომი და კვლავ ომი. მუშათა კლასმა იცის, რომ „ნაციონალური ინტერესის“ დაცვა დამპყრობელის, არის დაპყრობილის ნაციონალური ინტერესის დასამარება.

ამიტომ საჭიროა ბრძოლა არა მეტროპოლიათა „ნაციონალური ინტერესების“ უზრუნველყოფისათვის, არამედ იმ სამეურნეო სისტემის დანგრევისათვის, რომელიც მიზეზია მსოფლიოს ასეთი გადაყოფის, გადანაწილების.

ევროპის მუშათა კლასისათვის თანდათან ნათელი გახდება, რომ პარლამენტები, სადაც კაპიტალისტთა დამცველნი სხედან, ვერ შესძლებენ მშვიდობიანობის დაცვას და განიარაღების ჩატარებას. მუშათა კლასმა უნდა გადაარჩინოს კაცობრიობა ახალ-ახალ ომებისაგან, რომელსაც ამზადებს იმპერიალისტური ბურჟუაზია.

ეროვნული

ქართველ მწერალთა პანთეონი.

ამ სათაურით გაზეთ **„ამიერ-კავკასიის რკინიგზელში“** ა. **პოტერინი** სამართლიანად აღნიშნავს:

„ქართველ პროლეტარიატს და ინტელიგენციას, ალბათ არა ერთხელ უნახავს დიდების პანთეონში ქართველ მწერლების და საზოგადო მოღვაწეების საფლავები, რომელიც დღეს უპატრონოთ მიტოვებული და მივიწყებულია.

თქვენ ვერ გამოიცნობთ ქართველ ერის დიდ მასწავლებლის საფლავს, რომ ნახევრად დამპალ და დახავსებულ ჯვარზე არ იყოს წარწერა: აქ განისვენებს იაკობ გოგებაშვილიო.

განა ჩვენ მის „დედა ენაზე“ არ აღვიზარდეთ? და ვინ იცის რამდენი ქართველი თაობა აღიზრდება კიდევ მის სახელმძღვანელოებზე.

ვაჟა-ფშაველას საფლავი ხომ სლულიად არ გავს პოეზიის ქურუმის საფლავს.

ცოტა მოშორებით განისვენებს ჩვენი ერის სიამაყე ნ. ბარათაშვილის ნეშთი. მას სიცოცხლეში უყვარდა მარტო, უგზო-უკვლოდ ფრენა თავის მერანზე. ნიკოლოზი აქაც მარტოა, თითქოს ბედს ნაკლებათ დაუსჯია და უნდა კიდევ უფრო მკაცრად დასაჯოს.

დროა გამოიფხიზლოს ქართველმა პროლეტარიატმა და ინტელიგენციამ!

დროა თუნდაც ერთი წუთით დავივიწყოთ ჭირ-ვარამი და გავიხსენოთ ისინი, რომელთა სახელითაც ვამაყობთ და ვცოცხლობთ!

მე არ მწამს, რომ ქართველ ერს დავიწყებოდეს მათი სახელები.

ახალი პანთეონი! აი ქართველი პროლეტარიატის ამოცანა.

საჭიროა გადავდგათ პირველი ნაბიჯი— საშუალება მოინახება“.

აღძრული საკითხი ყურადღების ღირსია. კულტურული ერი სიცოცხლეშიაც ტ სიკვდილის შემდეგაც პატივს სცემს თავის მოღვაწეებს. ქართველი ხალხი რუსეთის თვითმპყრობელობის დროს მოკლებული იყო საშუალებას ღირსეულად დაეფასებია აწ განსვენებული მოღვაწენი. საჭიროა მათ საფლავებს მაინც ვსცეთ პატივი.

ცნობა ა.-კ. ს. ფ. ს. რ. შესვლის შესახებ ს. ს. რ. კავშირში.

ამიერ-კავკასიის საბჭ. ფედერატიულ სოც. რესპუბლიკის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის ნოტა

ტფილისი 25 ივლისი. ამიერ-კაკკასიის საბჭ. ფედ. სოც. რესპუბლიკის გარეშე საქმეთა სახ. კომისარმა ამხ. გუსეინოვმა პირადათ გადასცა ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების მთავრობის სრულუფლებიან წარმომადგენლის მოადგილეს სპარსეთის სრულუფლებიან წარმომადგენელს და ამავე დროს დაუგზავნა გერმანიის გენერალურ ელჩს, იტალიის ელჩის მოვალეობათა აღმსრულებელს და ბუხარას სახ. სოც. რესპუბლიკის გენერალურ ელჩს შემდეგი შინაარსის ნოტა:

„მოწყალეო ხელმწიფევ! იმ დეკლარაციის და ხელშეკრულებათა თანახმად რომელიც მიღებულია ამიერ-კავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის (რომლის შემადგენლობაში შედიან: აზერბეიჯანის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, სომხეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა), რუსეთის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის, უკრაინის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის და ბელორუსიის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მიერ და რომელიც მოწონებულია ამ რესპუბლიკების უმაღლესი ხელისუფლების მიერ და დამტკიცებულია სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მიერ 1923 წ. 6 ივლისს, როგორც სპეციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ძირითადი კანონი, ამიერ-კავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკა ყველა სხვა ზემოდ დასახელებულ რესპუბლიკებთან ერთად შევიდა აღნიშნულ აქტით შექმნილ საკავშირო სახელმწიფოს შემადგენლობაში, რომელსაც ეწოდება სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი (ს.ს. რ. კ.) ამიერ-კავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის სუვერენიტეტი, რომელიც ამიერიდან შემოფარგლულია კავშირის ძირითად კანონში აღნიშნულ საზღვრებით იმ დარგებში, რომელიც შეადგენს კავშირის კომპენტენციას, დანარჩენში განხორციელებული იქნება ამიერ-კავკასიის სოც.-ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის მიერ,რომლის სუვერენულ უფლებებს დაიცავს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი. კავშირის, ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. სოც. რესპუბლიკის და სხვა ყველა დასახელებულ რესპუბლიკების საერთაშორისო ურთიერთობანი, და აგრეთვე საგარეო ვაჭრობა, საბაჟო სისტემა, გზათა, ფოსტა-ტელეგრაფის მართვა-გამგეობა, და როგორც საერთო საკავშირო, ისე ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის საკონცენსიო ხელშეკრულებათა დადება ამიერიდან განხორციელებული იქნება სოც. საბჭ. რესპ. კავშირის ძირითად კანონით უფლება-მოსილ კავშირის ცენტრალურ ხელისუფლების ორგანოების საშუალებით. ზემოთ აღნიშნულის თანახმად, ამ.-კავკასიის ს.-ფედ. საბჭ. რესპუბლიკამ გადასცა სოც. საბჭ. რესპუბლიკების კავშირს ყველა მისი საერთაშორისო დამოკიდებულებათა გამგებლობა, მათ შორის მის მიერ დღემდის დადებულ ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე დღემდე ძალაში შესულ ცხოვრებაში გატარება, რომელნიც, როგორც აგრეთვე ამიერ-კ. საბჭ. ფედ. რესპ. ტერიტორიაზე დღემდის ძალაში შესული, საკონცესიო ხელშეკრულებანი, მისი კანონმდებლობის მიხედვით, სოციალისტურ საბჭ. რესპუბლიკების კავშირის მიერ ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ტერიტორიაზე დაცულნი იქნებიან წინანდელი სახით და საგარეო სავაჭრო ურთიერთობათა განხორციელება, რომელიც ამიერიდან გადადის სოც. საბჭ. რესპ. კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის შინაურ და საზღვარ-გარეთელ ორგანოების ხელში.

ამიერ-კავკასიის საბჭ. ფედერ. სოც. რესპუბლიკის გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატს აქვს პატივი მოგმართოთ თქვენ თხოვნით, აცნობოთ ეს განცხადება თქვენს მთავრობას. მიიღეთ რწმუნება თქვენდამი პატივისცემასა და ერთგულებაში“. ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი **დ. გუსეინოვი.**

რაღიო-ტელეგრამები

რუსეთის ცნობის გარშემო

რუსეთი და დანია

კოპენჰაგენი. 23 ივლისი. მოსკოვში დანიშნულ დანიის მომავალ დელეგაციის მეთაურმა, გენერალურმა ელჩმა შოუმ გაზ. „პოლიტიკენის“ წარმომადგენელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ რუსეთს და დანიას არ შეეძლოთ დიდი ხნით განცალკევებულათ არსებობა. დანია დიდი ხანია სარგებლობს ციმბირის გლეხთა ნდობით, რომელთაც დიდი სარგებლობა ნახეს დანიიდან მიღებულ ერბოს დამმზადებელ მანქანის საშუალებით, მრეწველთა წრეები უკმაყოფილონი არიან იმით, რომ დელეგაციაში არ არის მრეწველობის წარმომადგენელი და შუამდგომლობენ ასეთის დანიშვნის შესახებ“.

„პოლიტიკენი“ ხაზს უსვამს, რომ კოპენჰაგენს შეუძლია გახდეს რუსეთის ვაჭრობის ცენტრადო.

რუსეთ-სპარსეთის სავაჭრო ხელშეკრულება

თეირანი 23 ივლისი. თავრიზის ვაჭართა დელეგაცია შეეკითხა ადგილობრივ გენერალ გუბერნატორს რუსეთთან სავაჭრო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შეჩერების მიზეზის შესახებ, რაც დიდ ზიანს აყენებს ვაჭართა ინტერესებს.

ლოზანას კონფერენცია

ლონდონი. 25 ივლ. გუშინ დღისით, ლოზანაში მოკავშირეთა და ოსმალეთის დელეგატებმა ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას. ხელის მოწერის ცერემონია დაიწყო შვეიცარიის პრეზიდენტის შერერის სიტყვით. სიტყვის დასრულების შემდეგ შერერმა წინადადება მისცა სახელმწიფოების სრულუფლებიან წარმომადგენლებს ხელი მოეწერათ ხელშეკრულებაზე პირველ რიგში მაგიდასთან მივიდენ და ხელი მოაწერეს დოკუმენტებს და ოქმებს ოსმალეთის დელეგაციის წევრმა ისმეტ-ფაშამ, რიზა ნური-ბეიმ და გასან-ბეიმ, ოსმალეთის დელეგაციის შემდეგ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა რუმბოლდმა (ინგლისის დელეგაციის მეთაურმა); შემდეგ საფრანგეთის და იტალიის დელეგატებმა, ვენიზელოსმა და კაკლამანოსმა (საბერძნეთის) და იაპონიის; რუმინიის, ბულგარეთის და პორტუგალიის დელეგატებმა. დოკუმენტების ხელის მოწერის შემდეგ შვეიცარიის პრეზიდენტმა შერერმა წარმოსთქვა საბოლოო სიტყვა, ხოლო დელეგატებმა ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს. ხელშეკრულების ხელის მოწერის დროს ლოზანას ყველა ეკლესიებში რეკავდენ ზარებს, ყველა საზოგადოებრივი შენობები მორთული იყო ფლაგებით.

პარიზი 25 ივლ. გუშინ საღამოს ინგლისის დელეგაცია წავიდა ლოზანიდან. დღეს მიემგზავრებიან საფრანგეთისა, იტალიისა და იაპონიის დელეგაციები.

ახლო-აღმოსავლეთში

ოსმალეთი.

რომი. „ჯორნალე დ-იტალია“ იტყობინება, რომ ოსმალეთის მთავრობამ მიიღო რომის ელჩის, ჯელილ ედინ-ბეის გადადგომა, რომლის მაგივრადაც ინიშნება სუსდ-ბეი; გადმოგვცემენ, რომ ჯელალ ედდინბეის სრულებით უარს ამბობს პოლიტიკურ მოღვაწეობაზე და თავიდან იხსნის ოსმალეთის დიდ ეროვნულ ყრილობის ერზერუმის დეპუტატის სახელს.

რომი. 25 ივლისი. სტამბოლიდან მიღებულ ცნობების თანახმად ოსმალეთის ბანკის დირექტორი გაემგზავრა პარიზში ბანკის ადმინისტრატიულ საბჭოსათვის მოხსენების გასაკეთებლათ ოსმალეთის მთავრობასთან მოლაპარაკების შედეგების შესახებ, უკანასკნელის პროექტთან დაკავშირებით ოსმალეთის ბანკის სახელმწიფო ბანკათ გადაქცევის შესახებ.

პარიზი. 25 ივლისი. ალბანეთის მთავრობამ დაადგინა მჭიდრო დამოკიდებულება დაამყაროს ოსმალეთთან. ამასთან დაკავშირებით სტამბოლში გაემგზავრა სპეციალური მისია, რომელსაც მეთაურობს ალბანეთის ეროვნულ კრების თავმჯდომარე. სტამბოლიდან მისია გაემგზავრება ანგორაში.

რომი. იტალიის გაზეთები იტყობინებიან, რომ ბულგარეთის წრეებში დიდი უკმაყოფილებაა

კარაგაჩის საკითხის გადაწყვეტის გამო. ბულგარეთში ფიქრობენ, რომ კარაგაჩის ოსმალების ხელში გადასვლით, ეგეის ზღვაში გადასვლის აზრს ნიადაგი ეკარგება. იმედები საკითხის გადაშინჯვაზე სუსტია, რადგან მოკავშირეები კმაყოფილნი არიან მიღწეული შეთანხმებით.

ჩესტერის კონცესიების გარშემო.

ლონდონი. 23 ივლისი. ლოზანაში საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის გამო, ჩესტერის კონცესიების საკითხი, ალბად, რამდენიმე თვით გადაიდება, ვინაიდან საზავო ხელშეკრულებაში არ არის ნაჩვენები ოსმალეთისა და ირაკის საზღვრები, კერძოდ მოსულის ვილაიეტისა, რომელიც ოსმალეთ-ირაკს შუა მდებარეობს, ამიტომ თუ მოსსულის საკითხი 9 თვის განმავლობაში გადაუჭრელი დარჩა, ნაციათა ლიგა ან ურთიერთი მისი ორგანო არბიტრობას იკისრებს ამ საკითხში. საზღვრების საკითხის ასეთი გადაწყვეტა ჩესტერის კონცესიების იმ ნაწილს ეხება, რომელიც მოსსულთან არის დაკავშირებული.

თუ კონცესიონერებს ხელიდან გამოეცლებათ მოსსულის ნავთი, მაშინ კონცესიას საერთოდ აღარ ექნება ის მნიშვნელობა.

ექსპერტების აზრით, ერთად-ერთი ღირებულება ანატოლიის რკინის გზებისა მდგომარეობს ადგილობრივ მადნეულ სიმდიდრეთა ექსპლოატაციაში და არა თვითონ რკინის გზაში. თუ მოსსული ოსმალეთს კი არა ირაკს მიეკუთვნა, რომელიც ინგლისის ბატონობას ექვემდებარება, მაშინ ჩესტერის კონცესიები გაბათილებულად ჩაითვლება. ამერიკის მთავრობის აზრით, ომის წინ არსებული ინგლისის კონცესიები ოსმალეთში გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. თუ მოსსული ოსმალეთს გადაეცა, მაშინ დავა ასტყდება ჩესტერსა და „როიალ დეჩ კომპანი“-ს შორის. ინგლისის ხელშია „როიალ დეჩ კომპანიის აქციათა უმეტესი ნაწილი. ამ გვარად გაგრძელდება კერზონისა და ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრის შორის აღძრული დავა, რომელიც რამდენიმე წელიწადია, რაც დაიწყო და ეხლაც ლოზანაში გრძელდებოდა ლონდონში მყოფ ამერიკის ელჩის კრიუსსა და ინგლისის დელეგაციის მეთაურ რუმბოლდსს შორის. მდგომარეობა მით უფრო გართულებულია, რომ ინგლისი კერძოდ უკვე დასთანხმდა მოსსულის გადაცემაზე ოსმალეთისათვის, თუ ოსმალეთი აღიარებს ინგლისის პრეტენზიებს მოსსულის ნავთზე. მაგრამ, როგორც უკანასკნელ ამბებიდან სჩანს, ანგორის მთავრობამ თავისათვის საუმჯობესოდ დაინახა კონცესიები მიეცა ჩესტერისათვის.

ახალი ამბები

— **განათლების მუშაკთა კავშირის მეცნიერების მუშაკთა სექციამ** ახალ შემადგენლობით განაახლა მუშაობა. ბიუროს წევრებად არჩეულია ამხ. ამხ. მიშა ოკუჯავა (თავმჯდომარე), პროფესორები: მიხეილ პოლიევექტოვი, (თამჯდომარეს მოადგილე) შალვა ნუცუბიძე, გ. ახვლედიანი, ალექსანდრე ნათიშვილი.

ამხ. ნუცუბიძეს მინდობილი აქვს სატარიფო დარგის ხელმძღვანელობა, პოლიევექტოვს—საორგანიზაციო. ბიუროს ჰყავს ტეხნიკური მდივანი. სექციის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. პროფ. პოლიევექტოვის ნახვა შეიძლება ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 11 საათიდან 12 საათამდე (მუშათა სასახლე, ოთახი № 36 მესამე სართული).

— **ქალაქის აღმასკომმა** დაადგინა. მილიციის უფროსის თანამშრომელთ, ჯამაგირი გაუდიდდეთ 40 პროცენტამდე 1 აპრილიდან.

— **მანგლისის ხახალხო მოსამართლის** თანამდებობაზედ დამტკიცდა ამხ. ნიკოლოზ შავიშვილი.

— **ქალ. აღმასკომმა** ნება დართო აღმასკომის კომენდანტს, რათა მან აიყვანოს დროებით თანამშრომელი—შტატის გარეშე დატოვებულ რიცხვიდგან.

— **სასაფლაოთი ვაჭრობა.** აღმასკომმა დაადგინა სასამართლოს გადაეცეს გამოსაძიებლად და დამნაშავეთა პასუხის-გებაში მისაცემათ ის მღვდლები, რომელნიც მიცვალებულთა პატრონებს აღმასკომის ნებართვის გარეშე, ევაჭრებიან და ახდევინებენ ფულს. ამ სახით მიმდინარე წელში საერთო ჯამი მღვდლების მიერ შეკრებილი გადასახადებისა უდრის 1,393,830 ათას მანეთს, რომელიც მითვისებული აქვს სამღვდელოებას.

— **ცენტრალური მუშათა კლუბი.** პარასკევს 27 ივლისს, მუშათა კლუბში შესდგება დიდი სიმფონიური კონცერტი მ. ნეიმანის ხელმძღვანელობით. აგრედვე მონაწილეობას მიიღებს სახელმწიფო ოპერის მომღერალი ქალი კალანდაძე.

— **პროფკავშირების კლუბში.** შაბათს 28 ივლისს, პროფკავშირების საზაფხულო კლუბში მე-2-რე სიმფონიური კონცერტი ონისიმე ბრონის ხელმძღვანელობით, პროგრამა შესდგება ჰ. ჩიკოვსკის ნაწარმოებთაგან.

— **სასამართლოს რეორგანიზაცია.** აჭარის სახალხო სასამართლოს კომისარიატი ამ ცოტა ხანში შეუდგება სასამართლო—წარმოების რეორგანიზაციას აჭარაში.

ბათომში არსდება საოლქო სასამართლო და როგორც ამისი მეორე ინსტანცია უმაღლესი სასამართლო.

პოლიგრაფიული წარმოების კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა: ურთიერთ დამხმარე კასიდან მისცეს დახმარება სესხის სახით იმ წევრებს, ვინც უფრო ნივთიერად გაჭირვებულია. ამის შესახებ უნდა მოითხოვოს შესაფერი მოწმობები.

— **საბჭოთა მუშაკთა** კავშირის სამდივნომ გადასწყვიტა დააკმაყოფილოს ბათომის სამაზრო განყოფილების შუამდგომლობა და ორი ალაგი დაეთმოს მას მოსკოვის სასოფლო სამეურნეო გამოფენაზე გასამგზავრებლად.

— **სამუსიკო ბიბლიოთეკის დაარსება.** სახელოვნო კომიტეტმა დაადგინა დაარსოს სამუსიკო ცენტრალური ბიბლიოთეკა, სადაც გადმოტანილი იქნება ზუგდიდის სასახლეში და წითელ არმიელთა კლუბში დაცული ნოტები და სამუსიკო შინაარსის წიგნები.

— **რეორგანიზაცია.** საქართველოს პროფკავშირთა ორგანიზაციულ განყოფილების წინადადებით სამაზრო პროფკავშირების განყოფილებებში უნდა გატარდეს რეორგანიზაცია. გადაწყვეტილია შტატების შემოკლება და ზოგიერთ თანამდებობათა გაუქმება.

— **უმაღლეს მეურნეობის საბჭოს დადგენილება.** გადაწყვეტილია გაუქმებულ იქნას სახელმწიფო აღმშენებლობის კომიტეტი და მის ნაცვლად დაარსდეს საალმშენებლო ტეხნიკური კომიტეტი.

— **პროფ-კავშირთა ყრილობები.** ყველა პროფკავშირების ყრილობების მოწვევა დანიშნულია 10 ენკენისთვიდან.

— **მუშა გამომგონებლ.** ტეტრლენი ირსებებს ახალ გამომგონ მუშათა ჯგუფი. ამ ჯგუფში, მაგ. ბაკურაძესა და გიორგობიანს—ვამოუგრეიეთ—პირველს „პერპეტუმ-მობილე“ ახალი ტეხნიკით და მეორეს—მექანიკური მუშტუკი, რომელიც თავისთავად ისვრის პაპიროსის ნამწვს.

— **კომპარტიის** და ნარკომსობესის ინიციატივით შესდგა თვითმშრომელთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოების ცენტრალური გამწმენდი კომისია რომელშიაც შედიან კომპარტიის და სოც. უზრუნვ. სახკომის წარმომადგენლები, პროფკავშირიდან ერთი, აღმასკომიდან ერთი და თვითმშრომელ საურთიერთო დამხმარე საზოგადოებიდან—სამი. კომისიას თავმჯდომარეობს სოც. უზრუნველყოფის კომისარიატის წარმომადგენელი. კომისია უკვე 22 ივლისიდან შეუდგა მუშაობას. ყოველივე ცნობები წევრების შესახებ კომიტეტმა უნდა გადასცეს კომისიას.

პარტიაში

კვირას, 29 ივლისს, დილის 10 საათზე ცენტრალურ ბიუროში დანიშნულია 1 რაიკომის (დიდუბის და ნაძალადევის უბნის) საზოგადო კრება. კრებაზე განხილული იქნება საორგანიზაციო საკითხები. დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.

პროფორგანიზაციები და „ხოზიაისტვენნიკები“

(გაგრძელება).

მწარმოებელსა და მუშებს შორის მუდამ განხეთქილება არსებობდა. მწარმოებელი დაინტერესებულია მუშათა ხარჯზე კაპიტალი დააგროვოს, მუშა კი ცდილობს თავისი ნაშრომით აუცილებელი მოთხოვნილებები დაიკმაყოფილოს. ძველათ სავსებით დამქირავებელზე იყო დამოკიდებული მუშების მიღება დათხოვნა.

პროფორგანიზაციების შეჯახება მეფის ჟანდარმერიით ზურგ გამაგრებულ დამქირავებლებთან ვერ აღწევდა სასურველ შედეგებს „ურჩი მუშების“ ჩარევას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხში ციხეებით უმასპინძლდებოდნენ. რევოლიუციამ რადიკალური ცვლილება შეიტანა მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხში.—მუშა-მოსამსახურეთა მიღება-დათხოვნა მუშათა წარმომადგენლობის ხელმძღვანელობით ტარდება. არც ერთი საკითხი არ წყდება პროფესიონალურ ორგანიზაციების კონტროლს გარეშე.

თუ მეფის მთავრობა პროფესიონალურ ორგანიზაციებში უდიდეს საფრთხეს ხედავდა მთელი ძალღონით ცდილობდა მათ დასუსტებას და განადგურებას, საბჭოთა მთავრობისათვის ეს ორგანიზაციები საუკეთესო დასაყრდენს წარმოადგენენ, საბჭოთა ხელისუფლება მუშათა ორგანიზაციის რიგებს ამაგრებს.

გადის დღეები, სამხედრო კომუნიზმის, მაგიერ ახალი ეკონომიური პოლიტიკა ფრთებს შლის, ყველაფერი სამეურნეო ფეხზე დგება.

გადაწყვეტილია ყოველივე წარმოებამ, ყოველივე დაწესებულებამ უნდა შესძლოს თავისი თავის მოვლა. წარმოების ან დაწესებულების სათავეში

ეროვნული საკითხი ლენინიზმის სკოლაში*)

„Если бы Ленину не удалось даже осуществить целиком своей программы, он оставил бы миру великий пример, из которого европейское общество извлекло бы много ценного. Ленин в праве гордиться работой его таварищей: русские рабочие завоевывают себе безсмертную славу, осуществляя идею, до сих пор остававшуюся абстрактной“...

„В защиту Ленина“.

1. თანამედროვე კაპიტალიზმის ტენდენციები.

ეს სიტყვები ეკუთვნის საფრანგეთის სინდიკალისტური მოძრაობის ერთ-ერთ თეორეტიკოს აწ მოსვენებულ **ჟორჟ სოხელს.** ავტორმა ეს წერილი „ლენინის დასაცავად“ დასწერა საბჭოთა რესპუბლიკის ყველაზე უფრო კრიტიკულ მომენტში, როდესაც კონტრ-რევოლიუციონური შემოტევა განადგურებას უქადდა რევოლიუციის მონაპოვარს. **სოხელმა** წერილი დასწერა როგორც დასკვნა თავისი ცნობილი წიგნისა („Размышления о василий“), რომელიც სპეციალურ გამოცემისათვის იყო გამზადებული. აზრი ამ დასკვნის დაწერისა აღუძრა მას ჟენევის გაზეთის ერთმა პუბლიცისტმა, რომელიც ამტკიცებდა, რომ ლენინი და ტროცკი, შვეიცარიაში ყოფნის დროს გაეცვნენ რა სოსელის წიგნს, გადასწყვიტეს გაეტარებინათ მისი პრინციპები პრაქტიკაში. უპასუხებდა რა ამ შენიშვნაზე, ჟ. სოსელი სწერდა: „ძე არა მაქვს არავითარი საბუთი ვიფიქრო, რომ ლენინმა ამოკრიფა თავისი იდეები ჩემს წიგნებში. მაგრამ, ეს მართლაც ასე რომ ყოფილიყო, მე შემეძლო მხოლოდ ავსებულიყავი უკვდავი სიამაყით იმ მოსაზრებით, რომ მე რამოდენიმედ ხელი შეუწყვე იმ ადამიანის სულიერ განვითარებას, რომელიც წარმოდგენილი მყავს ერთ და იმავე დროს მარქსის შემდეგ სოციალიზმის მიერ წამოყენებულ უდიდეს თეორეტიკოსად და სახელმწიფო მოღვაწედ, რომლის გენია გვაგონებს პეტრე დიდს“*)

წინააღმდეგ ზოგიერთ თანამედროვე სინდიკალისტებისა, რამდენიც თავიდან ფეხებამდე ჩაეფლენ ოპორტიუნიზმის ქაოსში და თავიანთი მომენებულ და განუვითარებელ ერების თანაგრძნობას ამ მოძრაობისადმი?.

ამ კითხვაზე ჩვენ პასუხს ვერ გავსცემთ სავსებით და სწორად, თუ არ გავითვალისწინეთ წინასწარ ის სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც შეჰქმნა მსოფლიოში თანამედროვე კაპიტალისტურმა მეურნეობამ.

ჩვენს წერილებში „მარქს-ენგელსის პოლიტიკა ეროვნულ საკითხში“ ჩვენ შეველაადეთ გამოგვერკვია ამ ორი დიდი რევოლიუციონური ეროვნული პოლიტიკა მე XIX-ე საუკუნის პერიოდში, როდესაც გაბატონებული იყო სამრეწველო კაპიტალიზმი. ამ ეპოქაში ევროპის კაპიტალის უმთავრესი ყურადღება მიპყრობილი იყო ევროპის საქმეებისაკენ და ეს ტერიტორიალური რაიონი შეადგენდა მაშინდელი კაპიტალისტური იმპერიალიზმის ცენტრალურ ამოცანას. ამ კონტინენტზე აღმოცენებული ძირითადი კითხვები და მათთან დაკავშირებული ნაციონალური მომენტები შეადგენდენ მარქს-ენგელსის პოლიტიკის მიზნებს. როგორც დავინახეთ მაშინ წამოჭრილ საერთაშორისო პრობლემებს, რომელნიც მხოლოდ ევროპის მაშტაბით იზომებოდა, მათ ასე თუ ისე დადებითი პასუხი გასცეს. მაგრამ მათი მოღვაწეობის შემდეგ იწყება ახალი პერიოდი კაპიტალისტურ მეურნეობაში და სამრეწველო კაპიტალიზმა ადგილი დაუთმო ფინანსიურ კაპიტალიზმს, რომელმაც მთელი მსოფლიო კაპიტალისტურ ურთიერთობის რკალით შემოსალტა და გააბატონა იმპერიალისტური მუშტი. კითხვა იბადება: როგორია მარქს-ენგელსის ღირსეული მოწაფის ლენინის ეროვნული პოლიტიკა თანამედროვე იმპერიალიზმის პერიოდში? მაგრამ ჯერ ვიკითხოთ: რა ახასიათებს უმთავრესად თანამედროვე კაპიტალისტურ მეურნეობას?

თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა უმთავრესად ხასიათდება დიდ-ტანიან კაპიტალისტურ სახელმწიფოების იმპერიალისტური პოლიტიკით, რომლის მთავარი მიზანია ნაციონალურ კაპიტალისათვის ახალი შემოსავლიანი წყაროების შექმნა ჩამორჩენილ და არა კაპიტალისტურ ქვეყნების დაპყრობით.

მაგრამ ასეთი ტენდენცია, ასეთი მიდრეკილება თავიდანვე ახასიათებდა კაპიტალისტურ მეურნეობას: კოლონიების დაპყრობა და ყვლეფა ყოველგვარი ძალდატანებითი საშვალებებით ერთი დამახასიათებელი თვისება არის ყოველივე სახის კაპიტალისტური მეურნეობისა. თავისი „კაპიტალის“ პირველ ტომში კარლს მარქსი სწერს და აგრედ წოდებულ პირველ-დაწყებით დაგროვების შესახებ: „აღმოჩენა ოქროსა და ვერცხლის მადნებისა ამერიკაში, გაჟლეტა, დამონება და ცოცხლად დამარხვა ადგილობრივ მცხოვრებთა ამ მაღაროებში, პირველი ნაბიჯები ოსტ-ინდიის დამონებისა და გაყვლეფისათვის, გადაქცევა აფრიკისა შავკანიანებზე სასარგებლო სანადირო ადგილად. ყველა ეს მოვლენები ახასიათებენ კაპიტალისტურ ერს მისი განვითარების დასაწყისზე.

ეს იდეალური პროცესები არსებითად მთავარი მომენტებია პირველ-დაწყებით დაგროვებისა. მათ თან მოსდევს სავაჭრო ომი ევროპის ხალხებისა, რომლის თეატრსაც შეადგენს მთელი დედამიწა...

სხვა და სხვა მომენტები პირველ-დაწყებით დაგროვებისა თან სდევენ ერთი მეორეს ასე თუ ისე სწორ ხრონოლოგიური წესრიგით... ინგლისში მე-17-ე საუკუნის დასასრულში, ისინი თავს იყრიან მთელს სისტემაში, რომლის ცალკე რგოლებს წარმოადგენენ კოლონიალური სისტემა, სისტემა სახელმწიფო ვალებისა. თანამედროვე სისტემა გადასახადებისა და პროტექციონური სისტემა. ყველა ეს მეთოდები ნაწილობრივ ემყარებიან ყველაზე უფრო უხეშ ძალაზე, მაგ. კოლონიალური სისტემა. ყველა ისინი სარგებლობენ სახელმწიფო ხელისუფლებით, საზოგადოების ამ კონცენტრიულ და ორგანიზაციული ძალით, იმისთვის, რომ დააჩქარონ გარდაქმნა წარმოების ფეოდალური წესისა კაპიტალისტურად და შეამოკლონ გარდამავალი საფეხურები.

ძალ-დატანება წარმოადგენს ბებია ქალს ყოველი ძველი საზოგადოებისათვის, რომელიც არის ფეხმძიმედ ახალით. ის თვით წარმოადგენს ეკონომიურ ძალას“. (იხ. К. Маркс: Капитал“ т. I, გვ. 542—3, 1906 წ.).

ამ ამონაწერიდან ჩვენთვის ნათელი ხდება, რომ ძალ-დატანება, კოლონიალური სისტემა თავიდანვე შეადგენდა კაპიტალისტური მეურნეობის დამახასიათებელ თვისებას. ამ მეთოდითაც ის აღერხებდა არა კაპიტალისტურ ფორმაციებისა და ჩამორჩენილ ქვეყნების თავის საექსპლოატაციო ობიექტად გადაქცევას. აშკარად კაპიტალისტურ და არა კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის კაპიტალისტურმა მეურნეობამ თავიდანვე დაამყარა ისეთი ურთიერთობა, რომლის ფარგლებში უკანასკნელი პირველის შემოსავლის დაუშრეტელ წყაროდ არის გადაქცეული. ურთიერთობის ფორმები ამ ორ ქვეყნებს შორის, უკეთ დაწინაურებულ სახელმწიფოებისაგან ჩამორჩენილ ერების, ექსპლოატაციის ფორმები იცვლება და ვითარდება იმდენად, რამდენათაც იცვლება და ვითარდება კაპიტალისტური მეურნეობის სტრუქტურა გაბატონებულ ქვეყნებისა.

კ. მარქსმა „კაპიტალის“ მესამე ტომში პირველად გაატარა კაპიტალის დანაწილება; სავაჭრო, სამრეწველო და ფულის კაპიტალებად. თანამედროვე მარქსისტებმა ეს დანაწილება განაგრძეს და აღმოაჩინეს თანამედროვე კაპიტალიზმის ახალი კატეგორია—ფინანსიური კაპიტალიზმი, ეს არის ახალი ფაზა კაპიტალიზმის განვითარებაში.

ჩვენ ამ წერილში ვერ შეეხებით იმ მეტად აინტერესო საკითხს, თუ როგორი ურთიერთობა

*) ეს წერილი უკვე დაწერილი მქონდა, როდესაც დამთავრდა „პასუხის პასუხი“ ჩემს წერილზე „მარქს-ენგელსის პოლიტიკა ეროვნულ საკითხში“. ამ მეტად ზრდილობიანსა და „ლიტერატურული ღირსებით“ აღსავსე „პასუხს“ ახლო დროში შეეხები. მანამდე კი დაუცდი სხვა ამხანაგებსაც, რომელთაც სურთ ამ საკითხზე წერილობითი კამათი.

ხან—დონი.

*) სოსელის წერილი მოყვანილია ჟურ. „Вестник Н. К. и Д.“ № 4—5, 1920 წ. გვ. 125—7.

...ოგომი, ე. წ. „ხოზიაისტვენნიკები“, პატივით და ...ოდებით იმოსებიან.

მათ ორგანიზატორულ ნიჭზეა დამყარებული წარმოების აყვავება. წარმოებაში ჩაბმული მუშა საკითხს ეხება მუშური და სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით. ხშირათ საჭიროება მოითხოვს წმინდა მუშური ინტერესები შეეწიროს სახელმწიფოებრივს. წარმოების სათავეში მოქცეული მუშათა წრეებიდან გამოსული „ხოზიაისტვენნიკი“ წმინდა მუშურ მოთხოვნილებების წამოყენებას ღალატათ აცხადებს. „სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის“ წარმოებას აღორძინება-გამაგრებას მუშათა ენერგიის მაქსიმუმი სჭირდება.

სხვა და სხვა დაწესებულების მუშა-მოსამსახურენი სხვა და სხვა გვარათ კმაყოფილდებიან.

მოკლეთ—ზოგიერთი წარმოებები და დაწესებულებები მათში მომწყვდეულ მუშა-მოსამსახურეთა ბარჯზე სცოცხლობდნენ. ზოგ ალაგას მუშათა ინტერესები სრულებით იჩრდილება „სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის“ საკითხების წამოყენებით“.

პროფესიონალურ ორგანიზაციებს შეტაკება ამ ნიადაგზე უხდებათ ახალი ტიპის „ხაზეინებთან“. აქ აშკარავდება, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის გავლენით „ხოზიასტვენნიკების“ კურსი ძალიან მაღლა აწეულა, პროფესიონალური ორგანიზაციები ზოგჯერ „ხელსაც კი უშლიან“ თურმე თანამედროვე საქმეში ჩარევით...

თვალი გადავავლოთ ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის ადმინისტრაციასა და აღმშენებელთა პროფესიონალურ კავშირს შორის დავას ერთ-ერთი მოსამსახურის დათხოვნის შესახებ.

ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობა (ზაკვოდხოზ) ახალი დაწესებულებაა; მისი არსებობა 1923 წლის 1 თებერვლიდან იწყება. მის მოვალეობას შეადგენს არხების გაყვანა, მდინარეების ნაპირების გამაგრება, ელექტრო-სადგურების აგება და სხვა.

ეს დაწესებულება მოქმედებას ამიერ კავკასიის ფარგლებში და აქვს განყოფილებები: საქართველოში, აზერბეჯანში და სომხეთში. მაისის შუა რიცხვებში მოხდა მდ. მტკვარის ადიდება, რომელიც ზიანს მიაყენებდა მუღანის მინდვრებს და ჯულფის რკინის გზას.

ამ. კავკასიის წყალთა მეურნეობის გამგისაგან (ბოგდატიევი) დეპეშას ღებულობს საქართველოს განყოფილების გამგე ლიტვინოვი „გამოგზავნეთ ოთხი კაცი, (ამ ოთხში ნახსენებია მხაზავი ლორია) **ან სხვები**“. მხაზავი ლორია აძლევს ამხ. ლიტვინოვს განცხადებას, რომ ის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია აბარებს ეგზამენებს და ითხოვს მის მაგიერ გაიგზავნოს ტეხნიკი შმალცელი (ეს უკანასკნელი თანახმაა წასვლაზე) ამხ. ლიტვინოვი თხოვნას არ იწყნარებს და ადგილობრივი კომიტეტის და საკონფლიქტო კომისიის დაუკითხავად 12 მაისის ბრძანებით სამსახურიდან ითხოვს მხაზავ ლორიას.

ამ უკანასკნელმა მიმართა ადგილობრივ კომიტეტს განცხადებით და კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება: „ადგილკომი აღნიშნავს რომ ადმინისტრაცია არა ერთხელ წასულა მუშა-მოსამსახურეთა ინტერესების წინააღმდეგ, ლორიას გადაყვანა მხაზავის თანამდებობიდან ტეხნიკის თანამდებობაზე და მისი გადარიცხვა მუღანში, როცა ამის შესახებ არაფერი იცოდა არც ლორიამ და არც ლორიამ და არც ადგილკომმა არ არის სწორი და მისი მივლინება მუღანში უკანონოა, სთვლის რა ლორიას კარგ მხაზავათ, ადგილკომი შუამდგომლობს კავშირის წინაშე, რომ ბრძანება გაუქმებულ იქმნას და ლორია აღდგენილ იქმნას ძველ თანამდებობაზე“.

აქ უნდა აღინიშნოს რომ, მოსამსახურის ერთ თანამდებობიდან მეორეზე გადაყვანა, უნდა ეცნობოს მოსამსახურეს, ლორია კი თურმე ითვლებოდა ტეხნიკოსათ. ასრულებდა მხაზავის მოვალეობას გადარიცხული ყოფილა ამიერ კავკასიის წყალთა მეურნეობის საქართველოს განყოფილებიდან აზერბეიჯანში და ამის შესახებ კი არაფერი იცოდა. აღმშენებელთა კავშირის მოწერილობის თანახმად, ეს საკითხი გარჩეულ იქმნა ადგილობრივ საკონფლიქტო კომისიაში (რაც ადრე უნდა მომხდარიყო). შეთანხმება არ მოხდა და ადმინისტრაციის წარმომადგენლები ძველ აზრზე დარჩნენ, ლორიას სამსახურიდან დათხოვნა აუცილებლობათ დასახეს. საქმე გადადის საქ. შრომის კომისარიატის საკონფლიქტო განყოფილებაში კავშირის წარმომადგენლები აღნიშნავენ ლორიას უკანონო დათხოვნას და მოითხოვენ მის დაბრუნებას სამსახურში. აქაც ვერ მიაღწიენ შეთანხმებას და საქმე უნდა გარჩეულ იქმნას სამედიატორო სასამართლოში.

სამედიატორო სასამართლოში კავშირმა საქმე წააგო და ლორია დაითხოვეს სამსახურიდან. რომ მკითხველს ნათელი წარმოდგენა ჰქონოდა, რომ ნათლად წარმოედგინა ნამდვილი მიზეზი, მე ძალიან მოკლეთ აღვნიშნე ფაქტი, მკითხველებს გავაცანი ის გზები, რომლებიც გაიარა ამ საჭირბოროტო საკითხმა, ეხლა კი საჭიროა საკითხს არსებითად შევეხოთ.

(გაგრძელება იქნება)

ს. ჭეიშვილი.

ᲞᲠᲝᲤᲘᲚᲘᲡᲞᲘᲠᲘᲡ

ფოთის ავ-კარგი. როგორც გავს რიონის ჩრდილო ტოტის საქმე, რომელიც აუარებელ ზარალს აყენებს ქალაქს, ამ ბოლო დროს წარმატების გზას დაადგა. მოკლე ხანში მთავრობის განკარგულებით მოელიან გამოკვლევის მოხდენას, და შესაფერი გეგმის და ხარჯთ აღრიცხვის შედგენას. აუწერელია ის უბედურება და ზარალი, რაც მოაქვს აღნიშნულ მდინარის ტოტს მცხოვრებლებისათვის და ქალაქისათვის. ვინ ჩამოთვლის, რამდენი ხალხი გადაასახლა ათ წლობით დამუშავებულ ადგილიდან და ზოგს სახლები წაართვა, ზოგს კი დაანგრევია და გადაატანია.

ქალაქის ბაღის ახალი მოკირწყვლა და სკამების დადგმა დასრულდა. მოკლე ხანში აღმასკომი შეუდგება მეორე შრომის სკოლის კაპიტალურ შეკეთებას, რომლისთვის საჭირო მასალა გაცინკული თუნუქის სახით ნაწილობრივ ბათომიდან უკვე მიღებულია. შეკეთება დაჯდება 20 მილიარდ მანეთამდე. რაიც ამ მშვენიერ შენობას გადაარჩენს საბოლოვო დანგრევისაგან, ვინაიდან მთელ ათ წელზე მეტია, რაც შენობა არ შეკეთებულა.

ვინაიდან გასულ წყალდიდობამ წაიღო და დაანგრია მალთაყვის ხიდი, რითაც ქალაქი ფოთი მოსწყვიტა გურიას და ერთი ხიდის მაგივრათ დღეს საჭიროა ორი-სამი ხიდი, რომელთა გაკეთება ამ ჟამათ ქალაქს არ ძალუმს, აღიძრა სურვილი: გურია-ფოთ შორის ნავოსნობის მოგვარებისა, რათა ნაწილობრივ განამტკიცებს კავშირს ფოთს და გურიას შორის, ურომლისობა აურაცხელ ზარალს აყენებს ორივე მხარეს.

წყალდიდობის მიერ გაფუჭებულ ქუჩების და ხიდეების (ბოგების) აღდგენის მუშაობა გრძელდება. ძველი ხის ბოგების მაგივრათ აკეთებენ ბეტონის ბოგებს.

ადგილობრივი პოლიტიკური განათლების განყოფილება ქალაქის ბაღში აპირებს საზაფხულო თეატრის აგებას. მოკლე ხანში მუშაობას შეუდგებიან.

იმავე განყოფილების ინიციატივით მოეწყო სამეცნიერო წრე, რომელიც კვირაში ერთხელ თეატრ კომეტაში გამართავს პოპულიარულ ლექციებს სხვა და სხვა მეცნიერების დარგებიდან. ლექციები იქნება უფასო.

მარგანეცის გაზიდვის საქმე თან და თან იზრდება. ამ დღეებში მოვიდა კიდევ ახალი ორი გემი. ამ ჟამათ იტვირთებიან 7 გემი.

პორტების სამართველო აგვისტოს ბოლო რიცხვებისათვის დაასრულებს ახალი სახელოსნოს მოწყობას. სახელოსნო ეწყობა ყოფილ სბროიავაკას სახერხ ქარხნის შენობაში.

გაიხსნა „დობროლეტის“ ადგილობრივი სააგენტო.

გასულ პარასკევს ჩამოვიდა ამხ. მარტინოვი, შამშე ლეჟავა და ჭუმბურიძე. მარტინოვმა ქალაქის ბაღში გააკეთა მოხსენება მენშევიკების წარსულის და აწმყოს შესახებ, რის შემდეგ დაასკვნა მენშევიზმის მომავალი პერსპექტივები თუ რას უხატავენ მუშათა კლასს. მოხსენებას დაესწრო დიდ ძალი ხალხი. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა სიმონ გოგიბერიძე. დაესწრენ ყოფილი წევრნი მენშევიკური პარტიისა, რომელთაც კრების წინაშე განაცხადეს, რომ ისინი სტოვებენ მენშევიკურ პარტიას და მზად არიან მთელი თავისი ძალ ღონით ემსახურონ საბჭოთა ხელისუფლებას. ილაპარაკეს გარდა მარტინოვისა, ჭუმბურიძემ. (სთარგმნა მარტინოვის სიტყვა), სიმონ გოგიბერიძემ, ბაზიარმა, მამალაძემ (ყველა ყოფილი მენშევიკებია).

საბოლოო მოხდენილი სიტყვა წარმოსთქვა შამშე ლეჟავამ, რომლის იუმორით სავსე სიტყვამ ბევრი აკინა საზოგადოება. საპატიო თავმჯდომარეებათ არჩეულ იქმნა ამხ. ლენინი, ტროცკი, ზინოვიევი, ცხაკაია, მახარაძე, ორჯონიკიძე, მარტინოვი და სხვები. ყოფილ მენშევიკებმა აირჩიეს ბიურო, რომელმაც უნდა ეცადოს ხელი შეუწყოს საქმეს არსებული ხელისუფლებასთან დაახლოვებას, საერთო კონფერენციის მოწვევას და საერთო გზის გამოძებნას.

ხნოუდენი.

გამოჩინებულის თემის (ქუთ. მაზ.) 1 ივლისს გამოჩინებულის თემში ადგ. მუშ. და გლ. საბჭოს ინიციატივით ადგ. დრ. დასის მონაწილეობით გაიმართა საღამო წარმოდგენით, წარმოდგენილ იქმნა 1 „ადვოკატთან“ 2 „უბედური დღე“ წაკითხული იქმნა გურულ-იმერული სცენები—იყო ბუფეტი, ფოსტა, აუქციონი და სხ. მთელი თემის მცხოვრებთა უმრავლესობამ მხურვალე მონაწილეობა მიიღო საღამო წარმოდგენის დადგმაში. იყო სოფლებიდან მრავალი შემოწირულებანი. მთელი შემოსავლიდან წმინდა მოგება დარჩა 160.000.000 მილ. მანეთამდე. შემოსავალი მოხმარდება საექიმო პუნქტის საჭიროებას. წარმოდგენის დადგმა მეტად საჩქაროთ იყო და მართალი უნდა ითქვას სცენის მოყვარენი თამაშის დროს დიდ უხერხულობას გრძნობდნენ. სცენაზე იყო სრული უწესრიგობა, არც ერთი დავალებული პირი არ ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას და სრულ მოუწყობლობას და უწესრიგობას ქონდა ადგილი. სცენაზე თამაში დროს უხდებოდა თვით სცენის მოყვარეებს ყველაფრის მოწყობა,

---

მყარდებოდა დაწინაურებულ და ჩამორჩენილ ქვეყნებს შორის სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალიზმის პერიოდებში. ჩვენი წერილის მიზანია გამორკვევა ამ ურთიერთობისა ფინანსიური კაპიტალიზმის ბატონობის ხანაში, რომლის წიაღში და რომლის სარბიელზე წარმოიშვა ლენინიზმი, როგორც გარკვეული სოციალისტურ-რევოლიუციონური სკოლა, რომ ამით ნათელი გახდეს ჩვენთვის, თუ რამდენად შეიგნო ლენინის სკოლამ თანამედროვე ვითარების ძირითადი მომენტი და რამდენად სწორი პოლიტიკა წამოაყენა ეროვნულ საკითხის გადასაწყვეტად, ჩვენ აგრეთვე არ შევეხებით თანამედროვე კაპიტალისტური მეურნეობის ძირითად კანონის გამორკვევას, ჩვენთვის საინტერესოა მხოლოდ პოლიტიკა თანამედროვე კაპიტალიზმისა და არსებითად სულ ერთი არის ჩვენთვის რომელ თეორიიდან გამოიყვანენ ამ პოლიტიკის მთავარ შინაარს.

რა ახასიათებს თანამედროვე კაპიტალიზმს უმთავრესად? ამხ. ნ. ლენინი ამის შესახებ სწერს: „უახლოესი კაპიტალიზმის ძირითად თვისებას წარმოადგენს უმსხვილეს მწარმოებელთა მონოპოლიური კავშირების ბატონობა“ (Ленин: „Империализм как новейший этап Капитализма“ გვ. 84, 1919 წ.) სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარებამ თანდათან გამოიწვია კაპიტალიზმის კონცენტრაცია, მათი თავის მოყრა მონოპოლიური კარტელებისა და ტრესტების ხელში. მეორეს მხრით განვითარდა საბანკო კაპიტალი და განმტკიცდა მისი მნიშვნელობა იმავ კონცენტრაციის საშუალებით. თავის მხრით, ეკონომიური ცხოვრების პირობების გამო, ხდება შეუღლება, შედუღება საბანკო და სამრეწველო კაპიტალისა. სწორედ ამ ნიადაგზე აღმოცენდა თანამედროვე ფინანსიური კაპიტალიზმი. „წარმოების კონცენტრაცია, მისგან წარმოშობილი მონოპოლიები, ბანკების შეერთება ან შეხორცება მრეწველობასთან—აი ისტორია ფინანსიური კაპიტალის წარმოშობისა და შინაარსი ამ ცნების“.—სწერს ლენინი (იხ. გვ. 46). მეორე ადგილას ლენინი სწერს: „ფინანსიური კაპიტალი არის მონოპოლიურ—მცირეოდენ უმსხვილეს ბანკების საბანკო კაპიტალი, **გაერთიანებული** მრეწველთა მონოპოლურ კავშირების კაპიტალთან“. ამ პროცესში დამახასიათებელია სწორედ ის, რომ ხდება გაერთიანება საბანკო და სამრეწველო კაპიტალისა, რაც თავის მხრით იწვევს წარმოების კონცენტრაციას გაორკეცებული ტემპით. ო. ჰილფერდინგი, რომელმაც პირველად მისცა მეცნიერული დასაბუთება საბანკო და სამრეწველო კაპიტლების ასეთს მეუღლებას სწერდა: „მეორეს მხრით, ბანკსაც მუდმივ ზრდაში მყოფ თავის კაპიტალის ნაწილის მოთავსება უხდება მრეწველობაში. ამის წყალობით ის თან და თანობითი ზრდით ხდება სამრეწველო კაპიტალისტად. ასეთს საბანკო კაპიტალს,—მაშასადამე, კაპიტალს ფულის ფორმაში,—რომელიც ამგვარი საშუალებით სინამდვილეში გარდაქცეულია სამრეწველო კაპიტალად, მე ვუწოდებ ფინანსიურ კაპიტალს“ (Р. Гильфердинг.: „Финансовый капитал“ გვ. 253, 1922 წ.) ამგვარად ფინანსიური კაპიტალი არის ის კაპიტალი, რომელიც იმყოფება ბანკების განკარგულებაში და მრეწველები კი, ამუშავებენ“ (იქვე). კაპიტალიზმის ასეთმა განვითარებამ და დაწინაურებამ გამოიწვია დიდი ცვლილება ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრების დარგში. იგივე ჰილფერდინგი ამბობს: **„ფინანსიური კაპიტალი ამთავრებს კაპიტალის უნიფიკაციას. წინად დაყოფილი სფეროები სამრეწველო, სავაჭრო და საბანკო კაპიტალის“ ახლა დაყენებულია ფინანსიურ არისტოკრატიის ხელმძღვანელობის ქვეშ.** რომელიც აერთიანებს მჭიდრო პერსონალურ უნიაში სამრეწველო და საბანკო ბატონებს“. (იქვე). ეს არის კონცენტრაცია თითქმის მთელი ეკონომიური ცხოვრებისა მცირეოდენი მაგნატების ხელში. სამრეწველო, სავაჭრო და საბანკო ოპერაციები და მთელი აპარატი ამ დარგებისა დღეს განიცდის მძიმე ზეგავლენას მონოპოლიური კაპიტალის. კაპიტალის ასეთი კონცენტრაცია, თავისი მხრით, იწვევს განსაზღვრულ სახელმწიფოში, კონკურენციის შენელებას, და, მეორეს მხრით, კი **ზედმეცი კაპიტალის დაგროვებას, რომელიც ვერ ნახულობს გასავალს ნაციონალურ ბაზარზე.** ასეთს პირობებში პირველ რიგში სდგება საკითხი **უმუშევრად დარჩენილ კაპიტალისათვის სამუშაო სარბიელის მოძებნა.** ასეთს სარბიელს ნაციონალური კაპიტალი პოულობს მხოლოდ არა კაპიტალისტურსა და ჩამორჩენილს ქვეყნებში, აქ იწყება კაპიტალის ექსპორტის პროცესის გაძლიერება **კაპიტალის ექსპორტი** არის ერთი დამახასიათებელი ისტორიული ტენდენცია თანამედროვე ფინანსიური კაპიტალისა. სამრეწველო კაპიტალიზმის პერიოდში დაწინაურებული ქვეყნები ახდენდენ უმთავრესად **საქონლის ფაბრიკატების** ექსპორტს, გაცნობას. ფინანსიური კაპიტალიზმის განვითარებით პირველი ადგილი ეკუთვნება თვით კაპიტალის ექსპორტს, რომელიც უშუალო ასამოძრავებელ სარბიელს პოულობს უცხო სამეურნეო რაიონებში. რ. ჰილფერდინგი სწერს: „თავის თავად კაპიტალის ექსპორტი არ არის შედეგი არტელების შეჰქმნისა. ეს მოვლენა საერთოდ განუყოფელია კაპიტალისტური განვითარებისაგან. მაგრამ კარტელების შეჰქმნა მკაცრად აძლიერებს წინააღმდეგობას და აძლევს კაპიტალის ექსპორტის საკითხს მწვავე ხასიათს. (გვ. 263),

ამრიგად კაპიტალისტური მეურნეობის კონცენტრაციამ, მონოპოლიურ ტრესტების და კარტელების წარმოშობამ, ერთი სიტყვით კაპიტალიზმის ახალმა ფაზამ—ფინანსიურმა კაპიტალმა გამოიწვია თვით კაპიტალის გაძლიერებული ექსპორტი დაწინაურებულ ქვეყნებიდან უფრო ჩამორჩენილ ქვეყნებში და ამით საქონლის ექსპორტს ზედ დაემატა ახალი, მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი აღნიშნულ ქვეყნების ურთ-ერთობის საქმეში.

კაპიტალის გაძლიერებული ექსპორტის გატანის გზით კი საშუალება ეძლევა კაპიტალისტურ ქვეყნებს უფრო გააფართოვოს, გააძლიეროს ექსპლოატაცია ჩამორჩენილი ქვეყნებისა. ამაში იმარხება ისტორიული დადებითი მნიშვნელობა კაპიტალის ექსპორტისა დაწინაურებულ ქვეყნებისათვის, ამ გზით კაპიტალი არსებობს თავისი ექსპანსიისათვის, თავისი წარმატებისათვის ახალ მოსავლიანი და დაუშრეტელი წყარო იპოვოს; მაგრამ ამაშივე არის—უარყოფითი შედეგები ჩამორჩენილი ერებისათვის, რადგან კაპიტალის ექსპორტის საშუალებით მისი ნაციონალური დოვლათი თანდათან გადადის უცხოელთა ხელში.

მაგრამ რას ნიშნავს ეკონომიურად კაპიტალის გატანა ექსპორტი ორ ქვეყნებისათვის? ჰილფერდინგი ამაზე გვიპასუხებს: „კაპიტალის ექსპორტის ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ გატანას ღირებულების, რომლის დანიშნულებაა აწარმოოს საზღვარ-გარეთ ზედმეტი ღირებულება. ამასთანავე არსებითია, რომ ზედმეტი ღირებულება დარჩეს ნაციონალურ კაპიტალის განკარგულებაში. თუ, მაგ. გერმანეთის კაპიტალისტი გადასახლდება თავისი კაპიტალით კანადაში აწარმოებს იქ და აღარ ბრუნდება სამშობლოში ეს უკვე უდრის გერმანეთის კაპიტალის დაკარგვას ეს—კაპიტალის დენაციონალიზაციაა: ეს ექსპორტი კი არაა, არამედ კაპიტალის გადასახლება. ის წარმოადგენს გამორიცხვას ნაციონალურ კაპიტალიდან და შეხორცებას უცხო კაპიტალთან. **კაპიტალის ექსპორტის შესახებ შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საზღვარ-გარედ გამოყენებული კაპიტალი რჩება აღნიშნულ ქვეყნის განკარგულებაში, და თუ სამშობლოს კაპიტალისტებს შეუძლიათ ისარგებლონ იმ ზედმეტი ღირებულებით, რომელსაც აწარმოებს ეს კაპიტალი.** მაშინ ეს კაპიტალი წარმოადგენს სტატიას ნაციონალურ „მოთხოვნილებათა ბალანსში“, ხოლო ყოველწლიურად წარმოებული ზედმეტი ღირებულება—სტატიას ნაციონალურ გარდასახადის ბალანსში. კაპიტალის ექსპორტი ამცირებს pro tanto ნაციონალური კაპიტალის რაოდენობა და ადიდებს ნაციონალურ შემოსავალს წარმოებული ზედმეტი ღირებულების მთელი თანხით“. (იქვე გვ. 353).

აქ არის გამოთქმული კვინტესენცია კაპიტალის ექსპორტისა და მისი მნიშვნელობის შესახებ დაწინაურებული ქვეყნებისათვის: გატანილი კაპიტალი აძლიერებს ექსპორტიორ ქვეყნის ნაციონალურ შემოსავალს იმ ზედმეტი ღირებულებით, რომელსაც ის იძენს ჩამორჩენილ ქვეყნებში. აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ თანამედროვე კაპიტალისტურ მეურნეობის ნიადაგზე აღმოცენებული ურთიერთობა ინტენსიურად ანვითარებს ჩამორჩენილ ქვეყნების, დაჩაგრულ ერების ექსპლოატაციას.

მაგრამ გავყვეთ ქვევით. კაპიტალის ექსპორტი შეიძლება მოხდეს ორი ფორმით: კაპიტალი პიტალი გადის საზღვარ-გარეთ—ან როგორც კაპიტალი, მომტანი მოგების (прибыль). უკანასკნელ შემთხვევაშიაც, გვიხსნის ჰილფერდინგი, შესაძლებელია კაპიტალის მოწესრიგება მოხდეს, როგორც სამრეწველო, სავაჭრო და საბანკო კაპიტალის. „იმ ქვეყნის თვალსაზრისით, რომელშიაც კაპიტალი შედის, მნიშვნელობა აქვს აგრეთვე, თუ ზედმეტი ღირებულების რომელ ნაწილიდან იხდის პროცენტს. პროცენტი გადახდილი საზღვარ-გარედ არსებულ საგირაო ფურცლებით, ნიშნავს, რომ საზღვარ-გარეთ გადის მიწის რენტის ნაწილი; პროცენტი გაცემული სამრეწველო დაწესებულების ობლიგაციებით, გვიჩვენებს რომ საზღვარ-გარეთ მიდის სამრეწველო მოგების ნაწილი“. გვ. 354).

აქ აღსანიშნავია აგრეთვე ერთი გარემოებაც. კოლონიები და ახალი ბაზრების აღმოჩენა თავიდგანვე შეადგენდა კაპიტალისტური მეურნეობის მოთხოვნილებას. მაგრამ წინად ასეთი რამეების მოპოვება ნიშნავდა მოხმარების ახალი საშუალებების აღმოჩენას; თანამედროვე კაპიტალი, წინააღმდეგ განსაკუთრებით ყურადღებას აქცევს იმ დარგებს, რომელიც იძლევიან ნედლ მასალას წარმოებისათვის. ამ მხრივ ექსპორტ-ქმნილი კაპიტალი მეტროპოლიის მრეწველობისათვის ზრუნავს უმთავრესად. პირველ პერიოდში, როდესაც კაპიტალის ექსპორტი ემსახურებოდა იმას, რომ ჩამორჩენილ ქვეყანაში შეექმნა 1) ტრანსპორტის სისტემა და 2) განვითარებინა სამრეწველო დარგები, მოსახმარი საშუალებების წარმოებით, ის აჩქარებდა ამ ქვეყნის კაპიტალისტურად განვითარებას. რასაკვირველია, ამ მეთოდსაც ჰქონდა მისთვის თავისი საზარალო შედეგები: ყველაზე მეტი ნაწილი მოგებისა გადიოდა საზღვარ-გარეთ, სადაც ის იხმარებოდა როგორც შემოსავალი, მაშასადამე, არ მიყავდა მოვალე—ქვეყნის მრეწველობა გაფართოებისაკენ. ამგვარად ასეთი კაპიტალისტური მეთოდი მეტის მეტად **აფერხებდა** ჩამორჩენილ ქვეყანაში **დაგროვებას,** ე. ი. კაპიტალიზმის შემდეგ განვითარებას. მსხვილი სამეურნეო ტერიტორიებში ასე თუ ისე კიდევ ხდებოდა უცხოელთა კაპიტალის ნაციონალური ასიმილიაცია. მაგრამ წერილში ეს ასიმალიაცია მეტის-მეტად ძნელი ხდებოდა. (გვ. 373).

მაგრამ ეს იყო პირველ ხანებში. „სრულიად შეუძლებელი შეიქმნა ეს ემანსიპაცია,—განაგრძობს ჰილფერდინგი, როდესაც კაპიტალის ექსპორტმა შეიცვალა თავისი ხასიათი: მსხვილი სამეურნეო ტერიტორიების კაპიტალისტები ცდილობენ შეჰქმნან უცხო ქვეყნებში არა ისეთი სამრეწველო დარგები, რომელნიც აწარმოებენ მოხმარებით საშუალებებს, არამედ უმთავრესად ცდილობენ იმაზე, რომ უზრუნველყონ თავიანთვის ბატონობა ნედლ მასალებზე თავიანთი უფრო და უფრო გაფართოების გზაზე მაგარ სამრეწველო დარგებისათვის, რომელნიც ამუშავებენ საწარმოო საშუალებებს. ასე, მაღაროები და სამთო ქარხნები პირინეის ნახევარ კუნძულის სახელმწიფოთა მოექცენ უცხო კაპიტალის ბატო-

გაკეთება. საღამო წარმოდგენის მომწყობი კომისია გრძნობდნენ ამ ნაკლს და იხდიდნენ ბოდიშს, მაგრამ გვიანღა იყო. საჯდომები არ იყო მაყურებლებისათვის და ნახევარი ფეხზე იდგა. იყო აურზაური და სრულიად არ ისმოდა სცენიდან არავითარი ხმა რაც მოთამაშეთ უკარგავდა თამაშის უნარს. საჭიროა ეს 1-ლი გაკვეთილი კარგათ დაიხსომონ მომავალში და არ განმეორდეს შემდეგში ასე მოუმზადებლათ და ნაადრევათ საღამო-წარმოდგენის დადგმა.

ორ თვეზე მეტია, რაც ამ თემში წვიმა არ მოსულა და ნათესის მდგომარეობა მეტად ცუდ პირობებში იმყოფება. თუმცა იყო ამ ბოლოს ცოტა წვიმა, მაგრამ აქა-იქ. ივნისის შუა რიცხვებში ძლიერმა სეტყვამ დიდათ დააზარალა ამ თემის ორი სოფელი, აბაშა და ნაგორზღვა. ყურძენი, ხილი და ყანები სულ გაახმო.

დიდი ხანი არ არის, რაც ამ თემში დაარსდა ქსენონი, რასაც ხალხი დიდი თანაგრძნობით ეკიდება. განზრახულია საავადმყოფო სახლის აგება, 13 ივლისს მასიური კრების დადგენილებით უნდა შეიქმნას ამ თემში საშუალო ადგილას კულტურული ცენტრი, სადაც მოთავსებული იქნება მთლიანი შრ. სკოლა და სხ. კულტურული დაწესებულებანი. უსურვებთ ყველა განზრახული მიზნები სასურველად დაეგვირგვინებიოს ამ თემის მცხოვრებთ. და არ ჩამორჩენოდეს სხვა კულტურულ თემებს.

ო. ნოდელი.

ᲙᲘᲜᲔᲛᲐᲢᲝᲒᲠᲐᲤ. ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲦᲛᲨᲠᲓᲔᲚᲝᲒᲘᲗᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲒᲐ.

„Кинематограф великий конкурент не только кабака, но и церкви. Вот орудие, которым нам нужно овладеть во что бы то ни стало".

Л. Троцкий.

ადამიანი დაუდგრომელია, მისი პსიხიკა ვერ ეგუება ერთფეროვანებას.

მისი სული მუდმივი მაძიებელია, მშფოთვარე, დაუკმაყოფილებელი და მრავალსახიანობის მოტრფიალე. ეს თანდაყოლილი მაძიებლობა მისი სულისა არ აძლევს მას მოსვენებას და ურღვევს მყუდრო არსებობას. ასეთი დაუცხრომელი სულისკვეთებისაგან ღონემიხდილი და განაწამები ზოგი ადამიანი—ეძებს თავის დავიწყების საშუალებას და მას ახწევს ალკოგოლისა, კარტის თამაშისა, სხვა და სხვა გარყვნილების წუმპეში ჩაფლითა და სარწმუნოების შემწეობით.

თუ კი სულიერად განაწამები ადამიანი ერთ-ხელვე ეზიარა თავდავიწყებას, აღნიშნულ ერთ-ერთ საშვალებათაგანს, ის მთელი არსებით შეიყვარებს მას ისე, როგორც არავის და შემდეგ ამ ჩვეულებიდან დახსნა ძნელია.

ამრიგად ადამიანი, რომელიც დიდად გამოსადეგი იქნებოდა საზოგადოებისათვის თავისი შრომა-მოქმედებით, ცუდ გზაზე დადგომის გამო ხდება მისთვის საზიანო ელემენტად.

ყველაზე უკეთეს თავდავიწყების საშუალებათაგან, სარწმუნოებრივი თავდავიწყება წარმოადგენდა, მაგრამ ეხლანდელ სოციალურ განვითარებისათვის იგი ხუნდების როლს ასრულებს ეხლანდელი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, რომელიც გიგანტიური ნაბიჯით მიექანება წინ და რომლის დეგვიზსაც შეადგენს, „შრომა, შრომა და შრომა!" რასაკვირველია შეუთვისებელია „ალილუიას" ძახილში დროს გატარება. ყოველი წუთი ჩვენი სიცოცხლისა, უნდა ვეცადოთ, რაიმე ახალი ცოდნის შესაძენად გამოვიყენოთ.

ადამიანმა დააღწია ნაწილობრივ თავი ამ დაბალ ხარისხიან გასართობებს და თავის მისწრაფებას მრავალსახიანობისაკენ, იკმაყოფილებს მუსიკით, გალობით, თეატრების საშუალებით და სხვ. მაგრამ ყოველივე ეს ძისაწდომი შეიქმნა, ეკონომიურად მოღონიერებული კლასის წარმომადგენელთათვის განუვითარებელი მასები კი ისევ დარჩა ალკოგოლიზმისა და ცრუმორწმუნოების ბრჭყალებში. სწარმოებს აგიტპროპაგანდა მუშებში და გლეხებში, მაგ. სარწმუნოების წინააღმდეგ გალაშქრებისა მაგრამ ეს კიდევ არ კმარა.

ადამიანში, ერთი რწმენის წინააღმდეგ უნდა იმოქმედო, სხვა რწმენის შექმნით, რომელსაც მარტო მშრალი სიტყვები არ უნდა ქონდეს საფუძვლად, არამედ გრძნობებზე მომქმედი სანახაობა. თვალით ნახული ადამიანისათვის უფრო სარწმუნოა და განცდათა მომგვრელი, ვიდრე მხოლოდ სიტყვით გადმოცემული.

მოახერხეთ გადაუშალოთ მშრომელ ხალხს თვალწინ ხათელ სანახაობით: ის საშინელი, ბარბაროსული მომენტები ინკვიზიციისა და საზოგადოთ მთელი ის შავბნელი პერიოდი, როდესაც სამღვდელოება და პაპები გამოდიოდა მთელი ქვეყნისა და ადამიანთა ბატონ-პატრონად და საშინელი სურათები ალკოგოლისა და სხვა გარყვნილებათაგან ადამიანის მეობის დაძაბუნება-გათახსირებისა და არარად ქცევისა, და სახელმწიფო მიაღწევს გაცილებით მეტს თავის მოქალაქეთა აღზრდის საქმეში, ვიდრე სათანადო აგიტპროპაგანდათა გაფართოებით.

ამ მხრივ საუკეთესო დახმარება შეუძლია გასწიოს კინემატოგრაფმა. მისი საშვალებით შესაძლოა, აღმოფხვრა მუშებსა და გლეხებიდან ტრადიციულ სარწმუნოებისა.

კინემატოგრაფიას აქვს მთელი რიგი უპირატესობათა, ხელოვნების სხვა დარგებთან შედარებით: ერთ „ლენტას" შეუძლია შემოიაროს მთელი ქვეყანა, მის ჩვენებას არ სჭირდება დიდი მოწყობილება, აგრეთვე თვით მაყურებლის მხრივ არ მოითხოვს იგი დიდ ცოდნას ,ყველა, როგორიც დაბალი ცოდნის (და თუ გინდ სრულიად უცოდინარი) არ უნდა იყოს, მაინც ხიამოვნებით, მოუქანცველად ჩაატარებს მთელ „სიანს" ვინაიდან კინო-მატოგრაფი ელვის სისწრაფით უშლის მას სხვა და სხვა სურათებს ბუნების სხვა და სხვა მხარეებს, სხვა და სხვა ქალაქებს და იქაურ ცხოვრება ზნე-ჩვეულებებს, ეს თვისებანი სრული გარანტიაა იმისა. რომ კინემატოგრაფი შესძლებს გადალახოს ის ჩინური კედელი რომლითაც შემოუფარგლავს ჩვენი მუშა-გლეხობა სარწმუნოებრივ უმეცრებასა და ალკოგოლიზმს და დააყენებს მას გონებრივ წარმატების და კულტურული აღზრდის გზაზე.

ზემონათქვამიდან ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა შეიძლება ექნეს კინემატოგრაფიულ ხელოვნებას მასაფა აღზრდის საქმეში, თუ კი მას სათანადოდ ფართო გზას მივსცემთ და მთელი ენერგიით შევეცდებით მის აყვავებას.

კინემატოგრაფიული ხელოვნება აუცილებლივ გამოსადეგია და კიდეც უნდა შეიჭრას იგი სკოლაში და სასოფლო მეურნეობაშიაც. აღნიშნულ დარგებში მას აუცილებლივ ფართო ასპარეზი აქვს და საჭიროა ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ამას. მაგ., აშკარაა რომ ბუნების მეტყველება და გეოგრაფია თუ კი იქნება დამყარებული კინო-ფილმაზე, დაკარგავს იმ სიმშრალეს, რომელიც საშინლად უძნელებს ბავშვებს აღნიშნულ საგანთა სათანადო შეთვისებას.

ამას ევროპაში მიაქციეს ყურადღება.

ყოველივე ამის შემდეგ არ შემიძლია არ შევეხო გაკვრით საქართველოს კინოწარმოებას.

მიუხედავათ კინომატოგრაფის ასეთი დიდი მნიშვნელობისა, ჩვენში ამ დარგს სათანადო ყურადღებას არ აქცევენ. ტროცკი თავის წერილში („Церков, водка и кинематограф") სამართლიანად აღნიშნავს, რომ ეს დარგი სახელმწიფოსათვის დიდი შემოსავლიანობის წყარო იქნებაო. დიახ, თუ კი ამ საქმეს სათანადო [illegible] ყურადღება, სათანადო თანხის გარეშეთ, რომლითაც ამ საქმის უშუალო ხელმძღვანელს, [illegible] დაგზე დაყენების შეძლება მიეცემა, მაშინ უეჭველია სახელმწიფო ზევით აღნიშნულ მხარეების მოგვარების გარდა, მატერიალურადაც დიდათ მოგებული დარჩება. მხოლოდ თუ აღნიშნული კანონიერება, საგან. კომ. ისევე გერის მდგომარეობაში დასტოვა, როგორც დღემდე, და წელიწადში თითო სურათის დამზადებისათვის ინახა მთელი კადრი სპეციალისტებისა, ცხადია აღნიშნული წარმოებას ზარალის მეტი არაფრის მოცემა არ შეეძლება, მიუხედავათ ამ საქმისადმი სიყვარულით გამსჭვალულ და თავდადებულ. ხელმძღვანელთა. გ. გოგიტიძის, ნაზაროვის ენერგიული შრომა უშედეგოთ ჩაივლის.

ამ რიგათ საქართველოში კინემატოგრაფიულ წარმოებამ უნდა დაისახოს მიზნად სწრაფი განვითარება იმ უმწვერვალესობამდე, რომლის გარანტიასაც აძლევს საქართველოს ტურფა ბუნების მრავალფეროვანება, ამის განსახორციელებლად, როგორც აღვნიშნე, სათანადო თანხაა საჭირო, ვინაიდან უფასოდ ასეთ დიდ და ახალ საქმეში თითო პიროვნებათა თუ გინდ სრულიად უანგარო შრომასაც კი, არაფრის შექმნა არ შეუძლია. მხოლოდ, თუ იმ პირთ, რომელნიც ეხლა უდგანან სათავეში ამ საქმეს, სახელმწიფო ფინანსიურ დახმარებით მისცემს საშვალებას საქმის წამოსაყენებლად, სახელმწიფო ამით აუცილებლად ყოველ მხრივ ბევრს მოიგებს და საქართველოც კინოხელოვნების დარგში აუცილებლივ საუკეთესო ადგილს დაიჭერს.

კინო საქმე მთელ სახელმწიფოსათვის საინტერესო საქმეა და, თუ კი სახ. განა. კომისარიატი ვერ შესძლებს მატერიალურად მის გაძღოლას ეს საქმე უნდა იკისროს რესპუბლიკის მთავარმა ორგანომ ან თვით, ან სხვა და სხვა ეკონომიურად ძლიერ დაწესებულებათაგან ამხანაგობის შექმნით.

დროა დავაღწიოთ ძილს თავი, უკუ ვაგდოთ დაუდევრობა და ხელი მოვკიდოთ საქართველოში კინოწარმოების აყვავებას.

ალე.

ᲙᲝᲯᲝᲠᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ.

ნობის ქვეშ, რომლის ექსპორტი ხდება აქ უკვე არა როგორც სესხის კაპიტალის, არამედ პირდაპირ იდება ამ მაღაროებში; ასე დაემართა სკანდინავიის მინერალურ სიმდიდრეს, განსაკუთრებით კი შვეციას, ამგვარად იმ ეპოქაში. როდესაც ამ ქვეყნებს, შეიძლება, გამოეჩინათ შესაძლებლობა გადასულიყვნენ თანამედროვე ინდუსტრიის მნიშვნელოვან დარგის, საკუთარ რკინის მრეწველობის დაარსებაზე, მათ ერთმევათ ნედლი მასალა, რომელიც გადის ინგლისის, გერმანეთისა და საფრანგეთის მრეწველობისათვის. ამის წყალობით მათი ეკონომიური განვითარება, აგრეთვე მასთანვე პოლიტიკურიც და ფინანსიურიც, შეჩერდა პირველს საფეხურებზე. ეკონომიურად უცხო კაპიტალის ქვეშევრდომები, ისინი პოლიტიკური მხრითაც გადაიქცნენ მეორე რიგის სახელმწიფოებად, რომელთაც აღარ შეუძლიათ არსებობა დიდი მპყრობელთა მფარველობის გარეშე" (გვ. 374 კურსივი ჩემია ს. დ.)

დიდ-ტანიანი კაპიტალისტური სახელმწიფოები, რომელთა ხელში არის თავმოყრილი დიდძალი ზედმეტი კაპიტალი და ტეხნიკური უპირატესობა. ეკონომიური და პოლიტიკური ძალდატანების საშუალებათ თავის გავლენის ქვეშ აყენებს უფრო სუსტსა და განუვითარებელ სახელმწიფოს. აქ ჩვენ ვდგებით ისეთი ბოვლენის წინაშე. როდესაც ეკონომიური არა თანასწორობა კაპიტალისტურ ქვეყნებში იწვევს. ერთის მხრით, ორიოდე სახელმწიფო—რანტიეს, მშრომელი სახელმწიფოს წარმოშობას, რომლის საექსპლოატაციო ობიექტად ხდება, მეორეს მხრით, სხვა წვრილი სახელმწიფოებრივი და ეროვნული ერთეულები. ჰილფერდინგი ამბობს: „ეკონომიური უთანასწორობა ნიშნავს სახელმწიფოებისათვის იმასვე, რასაც ეკონომიური უთანასწორობა ყოველი სახელმწიფოს შიგნით ცალკე წრეებისათვეს: **დამოკიდებულება ეკონომიურად სუსტისა. მასზე უფრო ძლიერისაგან.** დამორჩილების ეკონომიურ საშუალებად აქაც გამოდის კაპიტალის ექსპორტი. კაპიტალით მდიდარი ქვეყანა ახდენს კაპიტალის ექსპორტს, როგორც სესხის კაპიტალს; ის ხდება მსესხებელი-ქვეყნის კრედიტორად" (გვ. 373). მეორეს მხრით, ყოველგვარი **პოლიტიკური ფაქტორებიც** მოქმედებენ ამავე მიმართულებით. „პოლიტიკური დამოკიდებულება ახდენენ პირუკუ გავლენას ეკონომიურ ურთიერთობაზე და ქმნიან ქვეყნებიდან, რომელნიც პოლიტიკურად სვიტაში იმყოფებიან, განსაკუთრებულ სფეროს მფარველ—ქვეყნის კაპიტალის ასამოძრავებლად. დიპლომატია უშვალოდ იმყოფება აქ კაპიტალის სამსახურში." (375). ჩვენ ვიცით აგრეთვე, თუ პოლიტიკური ძალდატანებისა და ომების საშუალებებით, როგორ დაიპყრო ევროპის კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა აზიის, აფრიკის, ამერიკისა და ავსტრალიის ჩამორჩენილი ერები და გადააქცია ისინი ნაციონალური კაპიტალის საექსპლოატაციო ობიექტად.

ეს მიმოხილვა ჩვენ გვიხსნის ერთ მეტად საინტერესო ფაქტს: როგორც ეკონომიურ ცხოვრების დარგში არსებობენ ერთი მუჭა მდიდართა ჯგუფები და ფართო მშრომელი მასები, რომელნიც მოკლებულნი არიან საწარმოო ძალებს და შეადგენენ პირველთა საყვლეფ საგანს, ისე ერთა და სახელმწიფოთა ურთიერთობაში ასეთივე ტიპის დამოკიდებულება დამყარდა, სადაც რამოდენიმე დიდ-ტანიანი კაპიტალისტები სახელმწიფო სხვა და სხვა საშუალებებათა და მეთოდებით თავის ყოველმხრივი ბატონობის ქვეშ აყენებს მათზე უფრო სუსტს ეროვნულ ერთეულებს.

ამხ. ლენინი ამ საკითხის შესახებ სწერს: „მონოპოლიები, ოლიგარხია, მისწრაფება ბატონობისაკენ ნაცვლად თავისუფლებისადმი მისწრაფებისა, ექსპლოატაცია უფრო მეტი და მეტი რიცხვის-პატარა ან სუსტს ერებისა ერთი მუჭა უმდიდრეს ან უძლიერეს ერებისაგან,—ყველა ამან დაშალა ის ნიშნობლივი თვისებები იმპერიალიზმისა, რომელნიც გვაიძულებენ დავახასიათოთ იგი როგორც პარაზიტული ან ლპობაში შესული (загнивающій) კაპიტალიზმი... **სულ უფრო და უფრო გარკვევით ისახება, როგორც ერთი ტენდენციათაგანი იმპერიალიზმისა, წარმოშობა „სახელმწიფო-რანტიეს", მევახშე—სახელმწიფოსი, რომლის ბურჟუაზია ცხოვრობს კაპიტალის გატანისა და „კუპონების კრეჭით".** (ლენინის: იმპერიალიზმი... გვ. 128—9). მეორე ადგილას: „რანტიეს შემოსავალი ხუთჯერ აღემატება საგარეო ვაჭრობის შემოსავალს მსოფლიოს ყველაზე უფრო „ვაჭრულ" ქვეყანაში! აი რაობა იმპერიალიზმისა და იმპერიალისტური პარაზიტიზმის.

ამიტომ ცნება—„სახელმწიფო რანტიე" ან სახელმწიფო მევახშე,—ხდება საერთო სახმარად ეკონომიურს ლიტერატურაში იმპერიალიზმის შესახებ. მსოფლიო დანაწილდა ერთი მუჭა სახელმწიფო მევახშეებად და გიგანტიურ უმრავლეს სახელმწიფო მოვალეებად". (104). ქვევით: „სახელმწიფო—რანტიე არის სახელმწიფო პარაზიტულ, ხრწნაში შესულ კაპიტალიზმისა, და ეს გარემოება არ შეუძლია არ დაეტყოს როგორც აღებულ ქვეყნების ყველა სოციალ-პოლიტიკურ პირობებს საერთოდ, ისე განსაკუთრებით ორ ძირითად მიმდინარეობას მუშათა მოძრაობაში". (105).

ამ საერთო თუ როგორ იმოქმედა თანამედროვე, კაპიტალიზმა მუშათა ზოგიერთ ნაწილებზე და მათ იდეოლოგებზე, ამას ქვევემოდ დაუბრუნდებით. მიმოხილვიდან ჩვენთვის ნათელი ხდება, თუ რაში გამოიხატება თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ტენდენციები და როგორი სოციალ-პოლიტიკური ურთიერთობა მყარდება მის საფუძველზე.

ახლა ვიკითხოთ, როგორი სახით სდგას ეროვნული საკითხი იმპერიალიზმის პერიოდში.

(შემდეგი იქნება)

სან-დონი.

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

ახალი პიესა. გ. ყორჩიბაშმა დასწერა პიესა „ცხოვრების ნამსხვრევები", დრამა 5-ს მოქმედ., რომლის სიუჟეტიც აღებულია თანამედროვე ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებიდან.

—

თგითმშრომელთა კლუბი. შაბათს, 28 ივლისს, თვითმშრომელთა კლუბში ადგილობრივ დრამატიულ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება „ბატონი და ყმა", დრამა 3 მოქმ. ი. ჭავჭავაძისა. მონაწილეობას იღებს მთელი დასი. პიესას ხელმძღვანელობს გ. ანელი.

—

ახალი მომღერალნი. სახელმწიფო თეატრების მმართველი ს. ევლახიშვილი ამ დღეებში მიემგზავრება მოსკოვში საქართ. სახალხო განათლების კომისარიატის დავალებით, რათა მან მოიწვიოს სახელმწიფო ოპერის თეატრისათვის ახალი მომღერალი ძალები მომავალი საოპერო სეზონისთვინ.

ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ

ამხ. სერ. ამაღლობელის ფელეტონებში „**პასუხის პასუხში**" დაშვებულია შემდეგი უმთავრესი კორექტურული შეცდომანი. 1-ელ ფელეტონში სწერია „მიყენებს შემდეგ პრობლემას." უნდა იყოს „მიყენებს შემდეგ ბრალდებას". მე 3 ფელეტონში სწერია „...ტაქტიკის საკითხი **არ** შეიძლება იმავე დროს პრინციპის საკითხი არ იყოს" ხაზგასმული „არ" ამოსაშლელია. მე 4 ფელეტონში „ვერ გაიგებთ მარქს თუ იცნობთ ეკონომიური მოძღვრების კორიფეებს". უნდა იყოს „ვერ გაიგებთ თუ **არ** იცნობთ"." და სხ.

რედაქტორი—საერედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ᲓᲐᲕᲙᲐᲠᲒᲘ უმუშევრობის ბარათი № 24 მოცემული ტფილისის ბირჟიდგან ივანე გერასიმეს ძე ბახელაძის სახელობაზე გთოხვთ ჩასთვალოთ გაუქმებულათ. № 437.

ᲘᲕᲜᲘᲡᲘ 1900 ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ № 487 ᲡᲢᲐᲛᲑᲐ ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲖᲐᲠᲘᲐ ᲕᲝᲡᲢᲝᲙᲐ"-ᲡᲘ, ᲙᲝᲜᲖᲔᲜᲨᲢᲘᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ № 4.